



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მესტიის უღელტეხილი

მესტიის უღელტეხილი, უღელტეხილი სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მწვ. ლაცგასა და სარიცოლს შორის. ზ. დ. 3750 მ. აგებულია ძველი კრისტალური კომპლექსით, პალეოზოური გრანიტოიდებით. წარმოადგენს ფართო თოვლ-ყინულიან ჩადაბლებას, რბეც მრავალი დახურული ნაპრალია. ამ ტერიტორიიდან სათავეს იღებს მდ. მესტიაჭალა. მ. უ. აკავშირებს ლეხზირის მყინვარს (მდ. ენგურის აუზი) ადირსუს მყინვართან (მდ. ბაქსანის აუზი, რფ, ყაბარდო-ბალყარეთის რესპ.).
